



გაერთიანებული  
სამეფოს პარლამენტი

დებატი

პარლამენტი, მთავრობა, დემოკრატია და შენ

როგორ

მუშაობს  
პარლამენტი

კამპანია

კენჭისყრა

კანონები



## როგორ მუშაობს პარლამენტი

პარლამენტი, მთავრობა, დემოკრატია და შენ

გამომცემელი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,

პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება

მთარგმნელი: მარიამ ხოფერია

გამოცემის ადგილი და წელი: თბილისი, 2022

საკვანძო სიტყვები: გაერთიანებული სამეფო, პარლამენტი, თემთა პალატა, ლორდთა პალატა, მონარქი

წყარო: გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ვებსაიტი

<https://assets-learning.parliament.uk/uploads/2019/12/How-it-Works-booklet.pdf>



# HOW —IT— WORKS

პარლამენტი ჩვენი ცხოვრების  
თითქმის ყველა ასპექტში  
მნიშვნელოვან როლს ასრულებს:  
დაწყებული კანონებით, რომლების  
გვმართავს და სერვისებით,  
რომლებსაც ვიყენებთ,  
დამთავრებული ქვეყნის პოზიციით  
მსოფლიოში.

ეს არის გზამკვლევი ადამიანებისა  
და პროცესების შესახებ, რომელთა  
მიერ იმართება გაერთიანებული  
სამეფოს პარლამენტი, ასევე მისი  
ისტორიის შესახებ, რომელის  
წყალობით პარლამენტი დღემდე ამ  
სახით ფუნქციონირებს.

თუ თქვენ სწავლობთ ან უბრალოდ  
ახალ ინფორმაციას ეძებთ, ეს  
გზამკვლევი თქვენთვისაა.





## სარჩევი

---

- 4. გზა დემოკრატიისაკენ
- 6. დემოკრატია
- 8. არჩევნები და კენჭისყრის პროცესი
- 10. რეფერენდუმი
- 12. გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუცია
- 14. თემთა პალატა
- 16. ლორდთა პალატა
- 18. კომიტეტები
- 20. კანონმდებლობა
- 22. პოლიტიკური პარტიები
- 24. კამპანია
- 26. ჩართულობა

# გზა დემოკრატიისკენ

გაერთიანებულ სამეფოში დემოკრატია გრძელი და რთული გზა განვლო; დასაწყისისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღი გავიხსენოთ.

## 1215

- ინგლისში დემოკრატიისაკენ პირველი ნაბიჯები 1215 წელს თავისუფლების დიდი ქარტიის მიღების შემდეგ გადაიდგა, რომელმაც მეფეს ეკლესიისა და არისტოკრატიის საქმეებში ჩარევის უფლება შეუზღუდა.

## 1430

- დამტკიცდა 40-მილინგიანი საარჩევნო ცენზი, რომელიც მომდევნო 400 წლის განმავლობაში არ შეცვლილა: ანუ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველას, ვინც მიწას ფლობდა ან ქირაობდა და ვისი შემოსავალიც 40 შილინგს ან მეტს შეადგენდა.

## 1832

- „საარჩევნო რეფორმის შესახებ კანონი“ იყო პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელმაც საარჩევნო ოლქების საზღვრების გადასინჯვისა და ამომრჩეველთა რაოდენობის გაზრდის გზით (ხმის უფლება ქვეყნის ყოველ მე-7 მამაკაცს ჰქონდა) წარმომადგენლობითი სისტემა გაამარტივა და უფრო სამართლიანი გახადა.

## 1265

- სიმონ დე მონფორტი ჰენრი III-ის წინააღმდეგ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში და მეფე დროებით შეიპყრო კიდეც. შემდეგ მან მხარდაჭერისა და კონსულტაციისთვის „პარლამენტი“ მოიწვია. ქვეყნის ისტორიაში პირველად, ბარონების გარდა, სათათბიროდ მთელი ინგლისის ქალაქებისა და საგრაფოების წარმომადგენლებიც მოიწვიეს.

## 1689

- გამოიცა „უფლებათა ბილი“, რომელშიც პარლამენტის საქმიანობის ბევრი ისეთი ფუნდამენტური პრინციპი ჩამოყალიბდა, რომლებიც დღემდე ძალაშია. მათ შორისაა პარლამენტის როლი გადასახადების დამტკიცებაში და პეტიციის უფლება.

## 1838

- უილიამ ლოვეტმა გამოსცა ჩარტისტების პროგრამა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში საარჩევნო უფლებებისა და არჩევნების, ასევე პარლამენტის წევრთა როლის კარდინალური ცვლილებისკენ მოუწოდებდა. ასე დაიწყო ჩარტისტების მოძრაობა, რომელმაც მომდევნო 10 წლის განმავლობაში პარლამენტში რამდენიმე პეტიცია წარადგინა, რამაც 1867 და 1884 წლების რეფორმებს ჩაუყარა საფუძველი.







## 1866


- პარლამენტის წევრმა ჯონ სტიუარტ მილმა პარლამენტში ქალების საარჩევნო უფლების შესახებ პირველი მნიშვნელოვანი პეტიცია წარადგინა. ასე დაიწყო ორგანიზებული კამპანია ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებისათვის. მას შემდეგ ამ საკითხზე სარჩევნო და პეტიციები პარლამენტში თითქმის ყოველწლიურად შედიოდა, თუმცა ქალებს ხმის მიცემის უფლება მხოლოდ წელს მიენიჭათ.

## 1918

- „ხალხის წარმომადგენლობის შესახებ კანონის“ მიღება ხმის მიცემის უფლების მქონე ადამიანების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ხმის უფლება მიენიჭათ ქალებს, რომლებიც გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებდნენ, და 21 წელს მიღწეულ ყველა მამაკაცს.

## 1969

- ხმის მიცემისთვის საჭირო ზღვრული ასაკი ქალებისა და მამაკაცებისათვის 21 წლიდან 18 წლამდე ჩამოსწიეს, რაც დღემდე არ შეცვლილა.



## 1889

- 1812 წელს თომას ჰანსარდმა დაიწყო საპარლამენტო დებატების ჩანაწერების გამოქვეყნება და 1889 წელს თემთა პალატამ დაიწყო ამ ოქმების (რომლებსაც დღემდე ტრადიციულად „ჰანსარდი“ ეწოდება) გამოცემის დაფინანსება. ყველა სხდომა დღემდე იწერება, იბეჭდება და ინტერნეტშიც ქვეყნდება.

## 1928

- „თანაბარი უფლებების შესახებ კანონით“ ქალებსა და მამაკაცებს ხმის მიცემის თანაბარი უფლება მიენიჭათ.

## 1997

- შოტლანდიასა და უელსში ძალაუფლების დეკლუციის შესახებ რეფერენდუმები გაიმართა. შედეგად ჩამოყალიბდა შოტლანდიის პარლამენტი და უელსის ეროვნული კრება. 1998 წელს „დიდი პარასკევის შეთანხმების“ დამტკიცების მიზნით მთელი ირლანდიის ტერიტორიაზე რეფერენდუმი ჩატარდა, რომლის შედეგადაც შეიქმნა ჩრდილოეთი ირლანდიის ასამბლეა და მთავრობა.



# დემოკრატია

ადამიანები, რომლებსაც მმართველობის სადავეები უჭირავთ, საზოგადოების ორგანიზების შესახებაც იღებენ გადაწყვეტილებებს – გადაწყვეტილებებს, რომლებიც ყველაზე ახდენს გავლენას. გაერთიანებულ სამეფოში ხალხი ირჩევს თავის მმართველს. ხალხი ირჩევს ადამიანებს, რომლებიც აკვირდებიან მთავრობის მუშაობას და ხალხის მაგივრად აყენებენ მთავრობის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე. ეს არის წარმომადგენლობითი ანუ საპარლამენტო დემოკრატია.

**პოლიტიკა ქვეყნის ან კონკრეტული ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა. დემოკრატიული ჩართულობა იმგვარი ქმედების განხორციელება, რომელიც გავლენას ახდენს პოლიტიკურ სიტუაციაზე: ჩართულობის ბევრი ფორმა არსებობს – ხმის მიცემა, პარტიაში გაწევრიანება ან კამპანიაში მონაწილეობა.**

## დემოკრატიული პრინციპები

აბრაამ ლინკოლნი დემოკრატიას აღწერს, როგორც „ხალხის მიერ ხალხისთვის მმართველობას“. სიტყვა „დემოკრატია“ პირდაპირი მნიშვნელობაა „ხალხის მმართველობა“ და წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან „demos“ (ხალხი) და „kratia“ (მმართველობა). არადემოკრატიული მთავრობები მმართველობისას განსხვავებულ პრინციპებს ეყრდნობიან, მათ შორისაა: რელიგიური ელიტის მმართველობა (თეოკრატია), ან ძალაზე დამყარებული მმართველობა (სამხედრო დიქტატურა).

გაერთიანებული სამეფო დემოკრატიული სახელმწიფოა, რადგან ხელისუფლების ძალაუფლება უმრავლესობის მხარდაჭერაზეა დაფუძნებული. თუმცა დემოკრატიული მმართველობები ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაბამისად, გაერთიანებული სამეფო ძირითადად ცნობილია, როგორც „დასავლური ლიბერალური დემოკრატია“ მაგალითი.

## ლიბერალური დემოკრატია შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

**კონტროლი და ბალანსი** – ეს გამორიცხავს ერთი ადამიანის ან ჯგუფისთვის ზედმეტი ძალაუფლების მინიჭებას.

**სიტყვისა და შეკრების თავისუფლება** – შესაძლებელია განსხვავებული შეხედულებების გაშლერება და პოლიტიკური პარტიების ან ჯგუფების საჯარო ფორმირება.

**თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები** – ადამიანებს შეუძლიათ ხმა მისცენ მათთვის სასურველ კანდიდატს და ჰქონდეთ ნდობა არჩევნების შედეგების მიმართ.

**გამჭვირვალობა და ღიაობა** – ხალხმა იცის, ვინ არის პასუხისმგებელი გადაწყვეტილებების მიღებაზე და შეუძლიათ მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

**საზოგადოების აქტიური ჩართულობა** – არჩეულ წარმომადგენლებს აქვთ უწყვეტი კომუნიკაცია ელექტორატთან.





# დემოკრატიის სახეები

**პირდაპირი:** პირდაპირი დემოკრატია წარმოიშვა ძველ ათენში, სადაც მოქალაქეები იკრიბებოდნენ და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეებზე გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ეს გულისხმობდა იმას, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ გადაწყვეტილებები მიეღოთ თავად, წარმომადგენელთა არჩევის გარეშე. პირდაპირი დემოკრატიის თანამედროვე მაგალითები არსებობს შვეიცარიის ოლქებსა და აშშ-ის რამდენიმე ქალაქში.

**წარმომადგენლობითი:** წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს, მოქალაქეები ირჩევენ წარმომადგენლებს, რომლებიც მათ მაგიერ მიიღებენ გადაწყვეტილებებს. წარმომადგენლობითი დემოკრატია მთელს მსოფლიოში არსებობს, ორივე – საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების სახით. გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატა საკუთარი წევრების არჩევისას ხელმძღვანელობს წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებით.



**გაერთიანებული  
სამეფოს  
დემოკრატიული სისტემის  
ძლიერი და სუსტი მხარეები**

არჩევნებში მონაწილეობის  
მისაღებად დარეგისტრირება  
შესაძლებელია 16 წლიდან

და ხმის მისება  
შესაძლებელია



**18**  
წლიდან

## წარმომადგენლობითი დემოკრატიის თეორია

გაერთიანებულ სამეფოში წარმომადგენლობითი დემოკრატიის როლის გასააზრებლად რამდენიმე განსხვავებული თეორია არსებობს.

**დაღვივების თეორია:** ამ თეორიის მიხედვით, წარმომადგენლები ვალდებული არიან გააუღვრონ იმ ადამიანთა შეხედულებები, რომლებმაც ისინი აირჩიეს, და ეზღუდებათ საკუთარი აზრის ან რწმენის გამოხატვის უფლება. შესაბამისად, პარლამენტარის მოვალეობაა, გაიგოს რას ფიქრობს ელექტორატი და ხალხის სურვილის შესაბამისად იმოქმედოს.


**მანდატის თეორია:** ამ თეორიის მიხედვით, არჩეულმა ადამიანმა ან ადამიანთა ჯგუფმა უნდა განახორციელოს ის გეგმები, რომლებიც ეწერა მანიფესტში და რომელთა საფუძველზეც ისინი აირჩიეს. ეს ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც ადამიანები ხმას აძლევენ იდევს და არა ინდივიდებს. შესაბამისად, პარლამენტის წევრებს მხოლოდ იმის კეთების უფლება აქვთ, რისი კეთების პირობაც არჩევნებამდე დადეს.

**ბარკის თეორია:** ედმუნდ ბერკს სჯეროდა, რომ ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს, ხალხის სურვილის შესაბამისად მოქმედებაზე მეტად, საკუთარი შეხედულებებისამებრ მოქმედება მართებთ. ეს გულისხმობს, რომ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, იმოქმედონ დამოუკიდებლად, ელექტორატის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.





# არჩევნები და კენჭისყრის პროცესი



ადგილობრივი საბჭოს წევრები, პარლამენტარები და საჯარო პირები მოქალაქეების ინტერესებს წარმოადგენენ. შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მცხოვრებანი შესაბამისი რეგიონის უფლებამოსილი ორგანოების წარმომადგენლებსაც ირჩევენ, რომლებიც ამ კონკრეტული მხარეების სახელმწიფო ორგანოებს ხელმძღვანელობენ.

## კენჭისყრის პროცესი გაერთიანებულ სამეფოში

არჩევნებში მონაწილეობა საშუალებას გაძლევს, აირჩიო შენი წარმომადგენელი ადგილობრივ, რეგიონულ ან ქვეყნის მთავრობებში. თუმცა ამ წარმომადგენელთა არჩევის სისტემა შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს, რაც არჩევნების შედეგებზე ახდენს გავლენას.

**თემთა პალატის არჩევნები:** ეს არჩევნები ტარდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ქვეყნის ყველა საარჩევნო ოლქში თემთა პალატის წევრთა არჩევის მიზნით. თემთა პალატის არჩევნების შემდეგ ხმის უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერი იკავებს პრემიერ მინისტრის თანამდებობას და ირჩევს მთავრობას. გაერთიანებულ სამეფოში თემთა პალატის არჩევისას მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ხელმძღვანელობენ.

### დევოლუციური ასამბლეის/პარლამენტის არჩევნები:

უელსში, შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში არჩევნები ჩვეულებრივ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება დევოლუციურ ორგანოთა წევრების არჩევის მიზნით. შოტლანდია და უელსი იყენებს დამატებით წევრთა სისტემას, მაშინ როცა ჩრდილოეთ ირლანდიაში გამოიყენება „ერთადერთი გადაცემადი ხმის“ სისტემა.

**ადგილობრივი არჩევნები:** ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ადგილობრივი საბჭოების მიერ ტარდება საბჭოს წევრთა, პოლიციის კომისართა და, ზოგ შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები, თუმცა ყველა მათგანს ხალხი არ ირჩევს. ინგლისსა და უელსში ეს არჩევნები ტარდება მაჟორიტარული სისტემით; ჩრდილოეთ ირლანდიასა და შოტლანდიაში გამოიყენება „ერთადერთი გადაცემადი ხმის“ სისტემა.

**დამატებითი არჩევნები:** ეს არჩევნები ტარდება, როდესაც კონკრეტულ თანამდებობაზე არჩეული წარმომადგენელი გადადგება, გადააყენებენ ან თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში გარდაიცვლება.


**რეფერენდუმები:** რეფერენდუმები ძირითადად მაშინ ტარდება, როდესაც ერთ რომელიმე საკითხზე ხალხის აზრის გაგების საჭიროება არსებობს. ამ დროს ადამიანებს ორ მოცემულობას შორის არჩევის საშუალება აქვთ და საბოლოო შედეგზე ყველა ხმა ახდენს გავლენას.



**მაჟორიტარული** – საარჩევნო სისტემა, რომელიც უმრავლესობის ნებაზე დაფუძნებული.  
**პროპორციული** – მოსახლეობის მრავალფეროვან შეხედულებათა ასახვაზე ორიენტირებული საარჩევნო სისტემა.  
**საარჩევნო პრობრამა** – პოლიტიკური პარტიების მიერ არჩევნებამდე გამოქვეყნებული დაპირებების დოკუმენტი.

# საპარლამენტო არჩევნებში აქტივობის პროცენტული მაჩვენებელი

1922 წლიდან 1997 წლამდე გაერთიანებული სამეფოს საპარლამენტო არჩევნებში აქტივობის მაჩვენებელი თითქმის ყოველთვის 70-80%-ს შეადგენდა. ეს ცხრილი გვიჩვენებს როგორ შეიცვალა ტენდენცია 1992 წლიდან.



**რა ფაქტორები  
ახდენს გავლენას  
პენჭისყრის  
პროცენტზე?**

## საარჩევნო სისტემის სახეები

სისტემის სახეები	ძლიერი მხარეები	შეზღუდვა
<p><b>დამატებითი ხმის სისტემა</b> ძირითადად გამოიყენება მერის არჩევნების დროს, ამომრჩეველი ირჩევს მისთვის სასურველ მთავარ და მეორეხარისხოვან კანდიდატს. თუ ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას, ორი ყველაზე მეტი ხმის მქონე კანდიდატი რჩება, დანარჩენები პროცესს ეთიშებიან და ხდება ორი დარჩენილი კანდიდატის მიერ მიღებული მეორეხარისხოვანი ხმების დათვლა გამარჯვებულის გამოსავლენად. ეს სისტემა, როგორც წესი, უმრავლესობის მთავრობებს აყალიბებს.</p>	<p>არ დგას ხმების გადათვლისა და გადანაწილების საჭიროება, რადგანაც მხოლოდ ორი არჩევანია გამსვლელი.</p>	<p>პარტიები შესაძლოა არ იყვნენ წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში მათ მიერ მოპოვებული გარკვეული რაოდენობის ხმების მიუხედავად.</p>
<p><b>პროპორციული პარტიული სისის სისტემა</b> გამოიყენება ევროპარლამენტის არჩევნების დროს. ამომრჩეველმა უნდა აირჩიოს ერთი სასურველი პარტია, ხოლო პარტიების მიერ წარმოდგენილი სიებიდან კანდიდატები მოიპოვებენ საპარლამენტო ადგილებს მათი პარტიების მიერ მიღებული ხმების წილის შესაბამისად. ეს სისტემა კოალიციების შექმნის წინაპირობაა.</p>	<p>ხშირად საუკეთესო საშუალებაა შედარებით პატარა პარტიებისა და უმცირესობების ჯგუფების წარმოდგენისთვის პარლამენტში.</p>	<p>ზოგჯერ არ არსებობს საფუძვლიანი კავშირი პარლამენტის წევრსა და ამომრჩევლებს შორის. ეს სისტემა სამართავად საკმაოდ რთულია.</p>
<p><b>ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა (FPTP)</b> ეს სისტემა გაერთიანებულ სამეფოში საყოველთაო არჩევნებისა და სხვა კენჭისყრების დროს გამოიყენება. თითოეულ ამომრჩეველს შეუძლია ხმის მიცემა ერთხელ, ხოლო ყველაზე მეტი ხმის მქონე კანდიდატი ხდება დეპუტატი ან საბჭოს წევრი. ისტორიულად, ამ სისტემით ხშირად ერთპარტიული მთავრობები ყალიბდება.</p>	<p>ამომრჩევლებისთვის მარტივად გასაგები - ერთი ადამიანი, ერთი ხმა.</p>	<p>არჩევნების შედეგები არ არის მთლიანი ხმების პროპორციული და მცირერიცხოვანი პარტიები და უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფები შესაძლოა არ იყვნენ საკმარისად წარმოდგენილი.</p>
<p><b>„ერთადერთი გადასამადი ხმის“ სისტემა</b> გამოიყენება ჩრდილოეთ ირლანდიის ადგილობრივ არჩევნებში. თითოეულ სფეროში ხელმისაწვდომია გარკვეული რაოდენობის მანდატი და ამომრჩევლები ირჩევენ მათთვის სასურველ კანდიდატებს. მანდატი ენიჭებათ კანდიდატებს, როდესაც მიიღებენ ხმების მათთვის სასურველ „კვოტას“ (კონკრეტულ რაოდენობას) და შესაძლებელია ხმების გადანაწილება მათი „გაფლანგვის“ თავიდან აცილების მიზნით.</p>	<p>არსებობს ძლიერი კავშირი მიღებულ ხმებსა და მანდატების რაოდენობას შორის.</p>	<p>როგორც პროპორციული პარტიული სისის სისტემის შემთხვევაში, აქაც არ არსებობს კავშირი პარლამენტის წევრსა და ამომრჩევლებს შორის.</p>
<p><b>დამატებითი წევრის სისტემა (AMS; შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემა)</b> შოტლანდიისა და უელსის პარლამენტის არჩევნებში ამომრჩევლებს ორი ხმის უფლება აქვთ: ერთის - მათი ოლქის წარმომადგენლის (მაჟორიტარის) ასარჩევად, ხოლო მეორის - სასურველი პარტიის ასარჩევად. ეს არის ჰიბრიდული სისტემა: ოლქის წარმომადგენლის ასარჩევად ხმები ითვლება ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის მიხედვით, ხოლო მეორე შემთხვევაში კი გამოიყენება პროპორციული სისტემა. ეს წესიც კოალიციის შექმნას უწყობს ხელს.</p>	<p>კარგი საშუალებაა პატარა პარტიებისა და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.</p>	<p>შედევები არ არის ისეთივე პროპორციული ხმებისა, როგორც „ერთადერთი გადასამადი ხმის“ სისტემის შემთხვევაში.</p>

# რეფერენდუმი

რეფერენდუმი არის კანჭისყრის სახეობა, რომლის დროსაც ამომრჩევლებს კონკრეტულ საკითხზე არსებულ ორ ვარიანტს შორის უნავეთ არჩევანის გააკეთება. გაართიანებულ სამეფოში რეფერენდუმი ძირითადად მნიშვნელოვანი კონსტიტუციური საკითხების გადასაწყვეტად ტარდება, როგორც იყო მაგალითად შოტლანდიის მიერ გაართიანებული სამეფოს დაბრუნების შესახებ რეფერენდუმი.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
რეფერენდუმი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა უმრავლესობის ჩართულობას.	ზოგიერთის აზრით, უნდა არსებობდეს ამომრჩეველთა აქტივობის მინიმალური ზღვარი, რომელიც განაპირობებს რეფერენდუმის შედეგის ცვლილებად გადაქცევას. როცა შედეგები დიდად არ განსხვავდება ან აქტივობა არც ისე მაღალია, შედეგის სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.
შეუძლია მთავრობის კონსტიტუციური კონტროლი, შესაბამისად, ძირითადი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოებრივი მხარდაჭერისას	რეფერენდუმს შეუძლია საზოგადოების აზრის გაყოფა, რამაც შეიძლება პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა გამოიწვიოს.
არჩევნებისგან განსხვავებით, რეფერენდუმს შეუძლია კონკრეტულ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა.	„დიახ-არა“ ტიპის კითხვის შემუშავების პროცესში რეფერენდუმზე გასატანი საკითხი შესაძლოა შეტისმეტად გამარტივდეს.
ზოგჯერ საკმაოდ სასარგებლოა, როცა საკითხი მხარეებს ორ ნაწილად ყოფს.	კამპანიის დაფინანსების ან მედიის ჩართულობის შედეგად შესაძლოა შეიცვალოს აქტივობის მაჩვენებელი და რეფერენდუმის შედეგი. საკმაოდ რთულია კამპანიის ბიუჯეტის ლიმიტის კონტროლი.
რეფერენდუმი პოლიტიკაში სამოქალაქო ჩართულობის ერთგვარი სტიმულია და მოქალაქეებს კონკრეტული საკითხის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს.	გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობს წესი იმის შესახებ, თუ როდის უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი ან რა შედეგის შემთხვევაშია მთავრობა ვალდებული, მიიღოს კონკრეტული ზომები.





## შემთხვევის განხილვა: 2016 წლის ევროკავშირის რეფერენდუმი

2016 წლის 23 ივნისს გაერთიანებულმა სამეფომ ჩაატარა რეფერენდუმი შემდეგ საკითხზე: „უნდა იყოს თუ არა გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის წევრი ქვეყანა?“ გაერთიანებული სამეფო ევროპის ქვეყნების გაერთიანებას, რომელიც შემდეგში ევროკავშირი გახდა, 1972 წელს შეუერთდა. ქვეყნების ეს გაერთიანებები თავდაპირველად ჩამოყალიბდა სავაჭრო ბარიერების მოხსნისა და ევროპის შიგნით ომების თავიდან აცილების მიზნით. ამ გადაწყვეტილების გასაფორმებლად 1975 წელს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც ამომრჩეველთა 67%-მა კავშირში დარჩენას დაუჭირა მხარი.

თუმცა გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში ყოფნის საკითხი განხილვის საგნად დარჩა. ზოგიერთის აზრით, გაერთიანებულ სამეფოს ზედმეტად ბევრი სუვერენული უფლების დათმობა მოუწია, ევროკავშირის წევრი რომ გამხდარიყო.

### ხმაიანთი ევროკავშირიდან გასვლას



კამპანიის მთავარი პუნქტები:

- პარლამენტისათვის სრული საკანონმდებლო ძალაუფლების დაბრუნება;
- სავაჭრო გზებსა და იმიგრაციაზე კონტროლის უფლების გაერთიანებული სამეფოსთვის დაბრუნება;
- ევროკავშირისთვის გაგზავნილი ფონდების საკუთარი სურვილისამებრ დახარჯვა.

### ბრიტანეთს ევროკავშირი აძლიერებს

კამპანიის მთავარი პუნქტები:



- ევროკავშირში ვაჭრობისას ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტია;
- ევროკავშირის კანონმდებლობაში არსებული უპირატესობები, მაგალითად შრომის უფლებების შესახებ კანონი;
- უსაფრთხოებისა და გლობალური გავლენის არსებობის უპირატესობები.



## შედარებისთვის: 2011 წლის რეფერენდუმი ალტერნატიული ხმის სისტემის შესახებ

2011 წელს გაერთიანებულ სამეფოში ჩატარდა რეფერენდუმი ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნების ან ალტერნატიული ხმის საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ. შედარებისთვის, ამ რეფერენდუმზე აქტივობა უფრო დაბალი იყო და შედეგებს შორის უფრო მეტი სხვაობა დაფიქსირდა.

დაბალი აქტივობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა ალტერნატიული საარჩევნო სისტემის კომპლექსურობა არსებულ სისტემასთან შედარებით. ამასთან ერთად, არსებული საარჩევნო სისტემის შეცვლის საჭიროების მიუხედავად, ალტერნატიული სისტემა მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებდა.




# გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუცია

კონსტიტუცია წარმოადგენს წესების, მათ შორის მთავრობისა და მოქალაქეების კონკრეტული უფლება-მოვალეობების, ერთობლიობას, რომელთა მიხედვით იმართება ქვეყანა.

გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუცია არ არის თავმოყრილი ერთ კონკრეტულ დოკუმენტში და ზოგიერთი წესი წერილობითი სახით არ არსებობს.

არსებული კონსტიტუციის მხარდამჭერთა აზრით, ქვეყნის ყველა იურიდიული, პოლიტიკური, ეთიკური და სოციალური წესების ერთ დოკუმენტში გაერთიანების მცდელობა მათი მეთისმეტად გამარტივების რისკს წარმოშობს. ასევე, მათი აზრით, ისეთი წესების ჩამოყალიბება, რომელთა შეცვლაც რთული იქნება, გაურთულებს ქვეყანას ფეხი აუწყოს დროის ცვლილებებს.

არაკოდინიცირებული კონსტიტუცია უფრო მოქნილია, თუმცა ასევე უფრო რთული და ნიუანსურიც. ამის გამო, გაერთიანებულ სამეფოში ხშირად სამართლებრივი მსჯელობის საგანი ხდება ის, თუ რამდენად კონსტიტუციურია ესა თუ ის საკითხი. სასამართლო სისტემა მთავრობისგან დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე კონტროლი შეუძლია.



არაკოდინიცირებული კონსტიტუცია არაკოდინიცირებულია, როცა წესები შედგენილია სხვადასხვა ტექსტებზე დაყრდნობით და ერთ დოკუმენტში არ არის თავმოყრილი. განსხვავებით აშშ-სგან, რომელსაც წერილობითი, კოდინიცირებული კონსტიტუცია აქვს.

საპარლამენტო ხელისუფლება პარლამენტი არის გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო; მხოლოდ პარლამენტს შეუძლია მიიღოს ან გააუქმოს ნებისმიერი კანონი.

საპარლამენტო ორგანო (პარლამენტი), რომელიც ქვეყნის კანონებს ამტკიცებს.

აღმასრულებელი ორგანო (მთავრობა), რომელიც ქვეყნის მართვაზე, მათ შორის კანონის დაცვის უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი.

## საკონსტიტუციო დოკუმენტების კალენდარი

**მანჩესტერის კარტა (1215 წ.)** - ასევე ცნობილია, როგორც „თავისუფლების დიდი ქარტია“. ეს დოკუმენტი განსაზღვრავდა ურთიერთობას მონარქს, ეკლესიასა და არისტოკრატებს შორის, უზრუნველყოფდა, რომ მეფე ყოფილიყო პასუხისმგებელი კანონის წინაშე. ეს ქარტია ხშირად პარლამენტის წინამორბედად მიიჩნევა.

**ბილი უფლებაების შესახებ (1689 წ.)** - უფლებათა ბილით ჩამოყალიბდა პარლამენტისა და თავისუფალი არჩევნების შესახებ პრინციპები და შეიზღუდა მონარქის როლი.

**უნიის აქტები (1706 და 1707 წწ.)** - ეს აქტები მიიღეს შოტლანდიისა და ინგლისის პარლამენტში. მათს თანახმად, ეს ქვეყნები ერთიანდებოდნენ „ერთ სამეფოდ დიდი ბრიტანეთის სახელწოდებით“.

**1832 წლის რეფორმების ბილი** - ცნობილია, როგორც „დიდი რეფორმების აქტი“. ეს კანონი იყო 400 წლის განმავლობაში პირველი, რომელმაც შეცვალა პარლამენტის წევრების არჩევის სისტემა. მან გააუქმა „დამპალი დაბები“, სადაც ძალიან ცოტა ამომრჩევლს შეეძლო რამდენიმე პარლამენტარის არჩევა; შეცვალა კონსტიტუციის საზღვრები და გაზარდა ხმის მიცემის შესაძლებლობა.

# დევოლუცია

გაერთიანებული სამეფო შედგება ოთხი ქვეყნისგან: ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთი ირლანდია. თითოეულს საკუთარი ისტორია და კულტურა გააჩნია. ამ ქვეყნებს შორის ძალიან ბალანსი ხშირად ცხარე კამათის თემა იყო და დროდადრო იცვლებოდა. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა 1997-1998 წლებში, როდესაც ჩატარდა რეფერენდუმი შოტლანდიაში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, და პარლამენტი იძულებული გახდა ამ ქვეყნებისთვის საკუთარი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის ნება მიეცა.

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტმა დაიტოვა უფლებამოსილება დაადგინოს კანონები გაერთიანებული სამეფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, თავდაცვა და ეკონომიკა, გადასახადებისა და შეღავათების ჩათვლით. სხვა გადაწყვეტილებებზე, მათ შორის ჯანდაცვაზე, განათლებაზე, გარემოსა და ტრანსპორტზე უფლებები ადგილობრივ ორგანოებს „გადაეცა“ – მოხდა დეკლუცია.

დევოლუცია გაერთიანებულ სამეფოში ხშირად მოიხსენიება, როგორც მისი კონსტიტუციის მოქნილობის ნათელი მაგალითი.

# პარლამენტი

პარლამენტის ძირითადი საქმიანობა 3 ძირითად კატეგორიად იყოფა:

- კანონების შექმნა – **კანონმდებლობა**.
- მთავრობის მუშაობის კონტროლი – **შემოწმება**.
- ქვეყნის მოსახლეობის შეხედულებების წარმოდგენა – **წარმომადგენლობა**.

პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობა ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. მთავრობა პასუხისმგებელია ქვეყნის ყოველდღიურ მართვაზე: პარლამენტი აკისრებს მას პასუხისმგებლობას და ქმნის კანონებს. მნიშვნელოვანია პარლამენტის (საკანონმდებლო) და მთავრობის (აღმასრულებელი) როლების გამოიყვანა.

გაერთიანებულ სამეფოში ძალაუფლების ეს ორი შტო მჭიდროდ არის დაკავშირებული განსხვავებით აშშ-ის საპრეზიდენტო სისტემისგან, სადაც საპრეზიდენტო (აღმასრულებელი) არჩევნები და საკანონმდებლო არჩევნები ცალ-ცალკე ტარდება.

## შეგიძლიათ, დევოლუციის დადებით და უარყოფით მხარეებზე იმსჯელოთ?



### ევროპული თანამეგობრობის აქტი 1972 წ.

– ამ აქტმა გაერთიანებულ სამეფოს საშუალება მისცა ევროპულ თანამეგობრობას შეერთებოდა, რომელიც მოგვიანებით ევროკავშირი გახდა. ამ მოვლენის შემდეგ თანამეგობრობის კანონების დაცვა გაერთიანებულ სამეფოში საკვალდებულო გახდა და გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ჩაანაცვლა.

### შოტლანდიის აქტი, უელსის მთავრობის აქტი და „დიდი ბრასპეისის შეთანხმება“ (1998 წ.)

– ამ აქტებით დაიწყო ძალაუფლების გადაცემის პროცესი შოტლანდიის პარლამენტის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეების დაარსებით, რომელმაც ამომრჩევლებს ამ ორგანოებში თავიანთი წარმომადგენლების არჩევის საშუალება მისცა.

### საკონსტიტუციო რეფორმის აქტი

– ამ აქტით ლორდთა პალატას ჩამოერთვა უმაღლესი იურიდიული ორგანოს ფუნქცია და შეიქმნა უმაღლესი სასამართლო.

### 1911 და 1949 წლების

**საპარლამენტო აქტები** – ამ ორი საპარლამენტო აქტის მიხედვით, ლორდთა პალატას შეეზღუდა კანონპროექტების ჩაგდების და გადავადების უფლება. ასევე მთავრობის ძალაუფლების ვადა 7-დან 5 წლამდე შემცირდა.

### მუდმივი პაროლის აქტი (1958)

– ამ აქტის წყალობით ქალებსა და სხვადასხვა წარმომავლობის ოჯახების და პროფესიების წარმომადგენლებს ლორდთა პალატაში შესვლის უფლება მიენიჭათ. 1958 წლიდან წევრთა უმეტესობა ინიშნება უკვალოდ და მათი სტატუსი შვილებზე არ გადაიცემა.

### 1998 წლის ადამიანის

**უფლებათა აქტი** – ეს კანონი აერთიანებდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ბრიტანულ კანონს.

### აქტი პარლამენტის

**განსაზღვრული ვადით არჩევის თაობაზე** – ამ აქტის მიხედვით არჩევნები ტარდებოდა მაისის პირველ ხუთშაბათს, 5 წელიწადში ერთხელ. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ჩასატარებლად საჭირო ყველა მოთხოვნა არ იყო შესრულებული.



# თემა პალატა

## ორპალატიანი სისტემა

გაერთიანებული სამეფოს საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო საკითხები ორ – თემა და ლორდთა პალატაში განიხილება. ორივე პალატა იღებს კანონებს, აკონტროლებს მთავრობას და წარმოადგენს ამომრჩეველთა შეხედულებებს.

თემა პალატა არის პარლამენტის არჩეული ნაწილი. ის ასევე პასუხისმგებელია მთავრობის დაფინანსებასა და იმ კანონების მიღებაზე, რაც გადასახადების აკრეფის საშუალებას იძლევა.

## თემა პალატის წევრთა ფუნქციები

პარლამენტის წევრები თემა პალატაში მანდატის მქონე ხალხის მიერ არჩეული წევრები არიან; მათ მანდატი ხუთი წლის ვადით ენიჭებათ. რადგანაც მხოლოდ თემა პალატის წევრების არჩევაა შესაძლებელი, კონსტიტუცია ზღუდავს ლორდთა პალატის წევრთა უფლებამოსილებას, რომ მან ვერ შეძლოს თემა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება, ასევე თემა პალატა გადასახადების რაოდენობის თაობაზე იღებს გადაწყვეტილებას.

## 1. წარმომადგენლობა


თემა პალატის წევრები მათი ამომრჩეველების წარმომადგენლები არიან: ადამიანების, რომლებიც ცხოვრობენ მათი უფლებამოსილების ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე, განურჩევლად იმისა, მისცეს თუ არა მათ ხმა. ისინი პოლიტიკურ პარტიებსაც წარმოადგენენ. ნაწილობრივ პარლამენტში, ნაწილობრივ კი მათი უფლებამოსილების ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე მუშაობენ.

## 2. გულდასმით შესწავლა

მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე და თემა პალატაში დებუტატებს სხვადასხვა გზით შეუძლიათ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. პრემიერ მინისტრის და სამინისტროს მიმართ არსებული კითხვები ხელისუფლების შემოწმების კარგი შესაძლებლობაა, რადგან აქტუალური საკითხების შესახებ გადაუდებელი კითხვების დასმა შესაძლებელი ხდება. ოპოზიციასა და სხვა რიგით წევრებს ასევე აქვთ შესაძლებლობა წამოჭრან სხვადასხვა სადებატო საკითხები, რაც ამ თემების გულდასმით შესწავლის კარგ შესაძლებლობას იძლევა.

## 3. დებატები

პარლამენტში გარკვეული თარიღია გამოყოფილი ქვეყანაში არსებული აქტუალური საკითხების ირგვლივ სადებატოდ. დებატებზე განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები და ოპოზიციას შესაძლებლობა აქვს დებატებისათვის აირჩიოს მისთვის სასურველი საკითხი.



## მინისტრები

მინისტრები მთავრობის წევრები არიან. მათ ნიშნავს პრემიერ მინისტრი და თითოეულ მათგანს ერთი კონკრეტული სფერო აქვს ჩაბარებული. საპარლამენტო დებატების დროს მინისტრები მთავრობის სახელით ლაპარაკობენ და თემთა პალატის წევრების შეკითხვებზე უწევთ პასუხის გაცემა.

## ოპოზიციური ნაწილი

ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც არ წარმოადგენენ მმართველ პარტიას ან პარტიებს. მათ ოპოზიციას უწოდებენ და ისინი მთავრობის წევრთა მოპირდაპირე სკამებზე სხედან.

## სპიკერი

სპიკერი არის თემთა პალატის წევრი, რომელიც სხვა წევრების მიერაა არჩეული, რათა დებატების პროცესს გაუძღვეს. ისინი პასუხისმგებელი არიან, რომ ყველაფერი წესის მიხედვით წარიმართოს და პალატაში წესრიგი შენარჩუნდეს.



## მთავრობის წევრები


გაერთიანებული სამეფოს ეროვნული მთავრობა პოლიტიკის გატარებასა და კანონების მიღებაზეა პასუხისმგებელი. მთავრობის წევრები სპიკერის მარჯვნივ მდებარე სკამებზე სხედან.

## რიგითი წევრები

პალატის წევრები, რომლებიც არც მთავრობის მინისტრებს და არც ოპოზიციის ჩრდილოვან წარმომადგენლებს არ მიეკუთვნებიან. ისინი თავიანთი პოლიტიკური პარტიის წამყვანი წევრების უკან სხედან ხოლმე. რიგითი წევრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დებატების პროცესში და მინისტრებს მნიშვნელოვან კითხვებს უსვამენ.



# ლორდთა პალატა



ლორდთა პალატა არის პარლამენტის ორი პალატიდან ერთ-ერთი და თემთა პალატისა და მთავრობის შემდეგ საკითხები იქ განიხილება. ლორდთა და თემთა პალატის წევრები კანონების მიღების, მთავრობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა და აქტუალური საკითხების განხილვის ფუნქციებს იზიარებენ. ლორდთა პალატის სამი მთავარი როლია კანონების მიღება, მთავრობის მუშაობის შემოწმება და საჯარო პოლიტიკის საკითხების განხილვა.

## მთავრობა

ეს რიგი მმართველი პარტიის წევრებისაა.

## მთავრობის წინა რიგი

აქ მინისტრები და სპიკერები სხედან.

## ლორდთა პალატის სპიკერი

ლორდთა პალატის სპიკერი უძღვება პალატის სხდომებს. იგი არჩეულია წევრების მიერ და პოლიტიკურად მიუკერძოებელია. პალატა თვითრეგულირებადია, ყველა წევრი პასუხისმგებელია დაიცვას წესები: სპიკერს არ შეუძლია წევრების რიგრიგობით გამოძახება, გადაწყვეტა იმისა, ვინ ილაპარაკებს ან რომელი საკითხი იქნება განიხილული.



## დამოუკიდებელი წევრები

პარლამენტის დამოუკიდებელი წევრები მთავარი პოლიტიკური პარტიებისგან დამოუკიდებელი არიან.

## ოპოზიცია

მთავრობის საპირისპიროდ სხედან მთავარი ოპოზიციური პარტიისა და სხვა ოპოზიციური პარტიების წევრები.



## ლორდთა პალატის წევრები

ლორდთა პალატის წევრებს აქვთ მათ სფეროში პროფესიული გამოცდილება და ცოდნა. ისინი ამ ცოდნას იყენებენ კომიტეტებსა თუ პალატაში სხვადასხვა საკითხების განხილვისას.

### ლორდთა პალატის ამჟამინდელი შემადგენლობა:

**მუდმივი პერები:** წევრთა უმეტესობა (დაახლ. 650 წევრი) ინიშნება უვადოდ მონარქის მიერ პრემიერ მინისტრის რჩევის საფუძველზე. მათი ტიტული არ გადაეცემა მათ შვილებს.

მუდმივი პერები გამოირჩევიან ცოდნით, გამოცდილებით, რომელიც მათ კარიერის განმავლობაში შეიძინეს. ისინი სხვადასხვა პროფესიის არიან – პოლიტიკა, მედიცინა, სამართალი, ბიზნესი, ხელოვნება, მეცნიერება, სპორტი, განათლება, შეიარაღებული ძალები, დიპლომატია და საჯარო სამსახური.

ნებისმიერი ბრიტანელი, ირლანდიელი ან თანამეგობრობის მოქალაქე, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობს და გადასახადებს იხდის, უფლებამოსილია 21 წლის ასაკიდან არჩეული იქნას ლორდთა პალატის წევრად პალატის დამოუკიდებელი კომისიის მიერ.

**ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები:** ინგლისის ეკლესიის 26 არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსი ლორდთა პალატის წევრები არიან.

**მემკვიდრეობით არჩეული წევრები:** 1999 წლიდან ლორდთა პალატის აქტივ ლორდთა პალატის მემკვიდრეობით პერთა უმეტესობას ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვა. მხოლოდ 92 მემკვიდრეობითი პერის მანდატი შენარჩუნდა.

რადგან ლორდთა პალატა დანიშნულია და არა არჩეული, ის ხშირად მოუწოდებს თემთა პალატას, ახალი კანონის დამტკიცებამდე კარგად დაფიქრდეს. თუმცა ბოლო სიტყვა მაინც თემთა პალატას ეკუთვნის.

## მეორე პალატის უპირატესობები

### განსხვავებული პროცედურები


გადასახადებსა და შესწორებებზე დროის ლიმიტი ან მონაწილეობის წესი არ არსებობს.

### განსხვავებული სტრუქტურა

სამთავრობო უმრავლესობა არ არსებობს და წევრები ძირითადად დამოუკიდებელ ჯგუფს წარმოადგენენ.

### განსხვავებული მიდგომა

ლორდთა პალატა დამოუკიდებელია და თემთა პალატის კონტროლი შეუძლია, ასევე უფრო პარტიებს შორის თანამშრომლობისკენაა მიდრეკილი, რადგან აქ არ არის სამთავრობო უმრავლესობა და პარტიული დისციპლინა უფრო მოწესრიგებულია.



# კომიტეტები

კომიტეტი პარლამენტის წევრთა უფრო მცირე ჯგუფია, რომელიც კონკრეტულ საკითხზე სამუშაოდ იკრიბება. ისინი ორივე პალატასთან მუშაობენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას, დეტალურ შემოწმებას ან პარტიათაშორის მიდგომას მოითხოვს. თითოეულ პალატას კომიტეტების ცალკე სტრუქტურა გააჩნია, მაგრამ ზოგიერთი საკითხის ირგვლივ ორივე პალატის წევრები ერთიანდებიან ერთობლივი კომიტეტის შესაქმნელად. ყოველი საკითხის განხილვის დასასრულს, კომიტეტები ვალდებული არიან თავიანთი დასკვნები წარუდგინონ პარლამენტს.

საპარლამენტო კომიტეტები იყოფა ორ ზოგად კატეგორიად: საკანონმდებლო კომიტეტები (მხოლოდ თემთა პალატაში) და საგანგებო კომიტეტები.

## საგანგებო კომიტეტები

საგანგებო კომიტეტები თემთა პალატაში მუშაობენ კვლევებზე, ამოწმებენ მთავრობის დეპარტამენტების პოლიტიკას, ადმინისტრაციასა და ხარჯებს. ლორდთა პალატაში მათი საქმიანობის სფერო უფრო ფართო არეალს მოიცავს.


კომიტეტები შედგება პარლამენტის რიგითი წევრებისგან და თითოეულში ძირითადად 8-15 წევრია. ისინი პარტიათაშორისი მუშაობით და თანამშრომლობით ხასიათდებიან, რადგან მათი მთავარი მიზანი საბოლოო რეკომენდაციებზე კონსენსუსის მიღწევაა.

საგანგებო კომიტეტი აგროვებს მტკიცებულებებს ინდივიდებისა და ორგანიზაციებისგან, ასევე აქვს სახელმწიფო დოკუმენტების ნახვის უფლება. თითოეული მოკვლევის დასასრულს, კომიტეტი ცვლილებების თაობაზე დასკვნებსა და რეკომენდაციებს აქვეყნებს. მთავრობა ვალდებულია ამ რეკომენდაციებზე პასუხი ორი თვის განმავლობაში გამოაქვეყნოს.

თემთა პალატის საგანგებო კომიტეტები მთავრობის თითოეული შტოს კონტროლის მიზნით იქმნება. კომიტეტები იქმნება 5 წლის ვადით და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით ირჩევს განსახილველ საკითხს. თემთა პალატის საგანგებო კომიტეტებში შეძლებისდაგვარად გამოხატულია პარტიული ბალანსი.

ლორდთა პალატის საგანგებო კომიტეტებში შედარებით გრძელვადიანი საკითხები განიხილება. კომიტეტში წევრის არჩევა კონკრეტულ სფეროში მის გამოცდილებაზე და მოკიდებული. ლორდთა პალატაში ასევე განიხილავენ ისეთ განსაკუთრებულ საკითხებს, როგორებიცაა თაობათაშორისი თანასწორობა და კლიმატის ცვლილებები.

ერთობლივი საგანგებო კომიტეტები შედგება როგორც თემთა, ასევე ლორდთა პალატის წევრებისგან და იმავე უფლებებით სარგებლობს. ზოგიერთი მათგანი მუდმივმოქმედი, როგორცაა ადამიანის უფლებათა ერთიანი კომიტეტი და დანარჩენი ყურადღებას კონკრეტულ საკითხებზე ამახვილებს.



**თემა პალატის მუშაობის  
კომიტეტი საგანგებო  
კომიტეტების  
თავმჯდომარეებისგან შედგება.  
მისი ერთ-ერთი როლია  
პრემიერ-მინისტრისთვის  
კითხვების დასმა საჯარო  
პოლიტიკის საკითხებზე. ამ  
როლს კომიტეტი წაღიწადში 3-  
ჯერ ასრულებს.**



## შემთხვევების შესწავლა

### თემა პალატის გარემოსდაცვითი აუდიტის კომიტეტი

იკვლევს მთავრობის პოლიტიკის გავლენას გარემოზე. 2016 წელს მათ გამოაქვეყნეს ანგარიში მიკროპლასტმასის გარემოზე გავლენის შესახებ და მთავრობას პირადი მოხმარების პროდუქტებში მათი გამოყენების აკრძალვისაკენ მოუწოდეს. მთავრობამ მიიღო ეს რეკომენდაცია და 2018 წლის იანვარში აკრძალვა ძალაში შევიდა.

### ლორდა პალატის თაობათაშორისი თანასწორობის კომიტეტი

2019 წელს ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა და ყურადღება გაამახვილა რისკზე, რომლის მიხედვითაც თაობათაშორისი კავშირის სიმტკიცის მიუხედავად არსებობს საშიშროება, რომ მოხდეს აცდენა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, უსაფრთხო სამუშაო პირობები და გადასახადებისა და სარგებლის თანაბრობა. რეკომენდაცია გაიცა პროფესიული ტრენინგების წახალისებისა და ახალგაზრდა დასაქმებულების უფლებების დაცვის თაობაზე.

## საკანონმდებლო კომიტეტები

საკანონმდებლო კომიტეტები იქმნება კანონმდებლობის დეტალური განხილვის მიზნით - ისინი ასევე ცნობილია კანონპროექტის „საკომიტეტო ეტაპის“ სახელით. ყველაზე ხშირად მსგავსი კომიტეტი თემა პალატაში გვხვდება, სადაც კანონპროექტების უმრავლესობა გარკვეული დროით საჯარო კომიტეტის მიერ განიხილება. მსგავსი კომიტეტები სხვადასხვა ზომისაა და 15-დან 50-მდე წევრისგან შედგება. საკანონმდებლო კომიტეტებს შეუძლიათ საზოგადოების მოწვევა ამა თუ იმ კანონპროექტზე მათი შეხედულებების დასაფიქსირებლად, ოფიციალური პირების

ან ექსპერტების მიწვევა და კითხვებზე პასუხის გაცემა. კომიტეტები იქმნება დროებით ერთი რომელიმე კანონპროექტის განსახილველად და განხილვის შემდეგ დასკვნით ანგარიშს და შენიშვნებს თემა ან ლორდა პალატას წარუდგენს. წევრები „ანგარიშის ეტაპზე“ კიდევ ერთხელ განიხილავენ კანონპროექტს მთავარ პალატაში, სადაც შესაძლოა შემდგომი ცვლილებებიც განხორციელდეს. საკმაოდ მცირეა იმ კომიტეტების რაოდენობა, რომლებიც თემა და ლორდა პალატაში მხოლოდ საკანონმდებლო საკითხებით არიან დაკავებული, რადგან მსგავსი საკითხები, როგორც წესი, ლორდა პალატის მიერ განიხილება.



# კანონმდებლობა

კანონების შედგენა გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს: კანონპროექტი არის ახალი კანონის მიღების ან ძველის შეცვლის შესახებ შეთავაზება. ახალი კანონი შესაძლოა საჭირო გახდეს:

- საგანგებო მდგომარეობის დროს;
- ძველი კანონის შეცვლის მიზნით მთავრობაზე ზეწოლის დროს;
- სასამართლოებში საპროცესო კანონში ცვლილებების შეტანის დროს.

**საპარო კანონრომების ორი სახეობა არსებობს:**


**მთავრობის კანონრომები:** ამ კანონპროექტებს წარადგენენ მინისტრები. მსგავსი კანონპროექტები პრიორიტეტულია პარლამენტში, რადგან მათ ზურგს მთავრობა უმაგრებს.

**წევრების პირადი კანონპროექტები:** მათ წარადგენენ ლორდთა ან თემთა პალატის ის წევრები, რომლებიც არ წარმოადგენენ მმართველ გუნდს.

კომიტეტის ეტაპის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. მე-19 გვერდზე.

## კანონპროექტის მიღება პარლამენტში

კანონპროექტის წარდგენა შესაძლებელია როგორც ლორდთა, ასევე თემთა პალატაში. როცა ორივე პალატა თანხმდება კანონპროექტის შინაარსზე, ის დადასტურებისთვის მონარქს წარედგინება (ცნობილია, როგორც „სამეფო თანხმობა“).




# საკანონმდებლო ტერმინები

## ინგლისური ხმაები ინგლისური კანონებისთვის

თემთა პალატაში არსებული სისტემა უზრუნველყოფს, რომ კანონპროექტი, რომელიც მხოლოდ გარკვეულ რეგიონებზე ახდენს გავლენას, მხოლოდ ამ რეგიონების დეპუტატების უმრავლესობის მხარდაჭერას მოითხოვს. სპიკერი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, უნდა გაიაროს თუ არა კანონპროექტი ეს პროცედურა (English Votes for English Laws, EVEL) შემდეგი ორი პირობის საფუძველზე:

1. კანონმდებლობა გავლენას ახდენს მხოლოდ ინგლისზე ან ინგლისსა და უელსზე;
2. ამ საკითხის განხილვა შესაბამის დეველუციურ საკანონმდებლო ორგანოსაც შეუძლია.



**1 შესწორება** პარლამენტის წევრების მიერ წარდგენილ კანონპროექტში ცვლილებების შეტანა.

**2 ხმაების განაწილება** გამოიყენება ლორდთა ან თემთა პალატაში კენჭისყრის დროს კანონპროექტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დასათვლელად. წევრები გადადიან პალატის ორივე მხარეს მდებარე ორიდან ერთ-ერთ ლობიში, სადაც ხდება მათი აღრიცხვა და სახელების ჩანიშვნა.

**3 ობსტრუქცია** დებატებში ხანგრძლივად გამოსვლა ან არასაჭირო პროცედურული საკითხების წამოჭრა დროის მიზანმიმართულ ფლანგვას ნიშნავს. ამის გამო, შესაძლოა კანონპროექტის განხილვა დათქმულ ვადაში ვერ მოხერხდეს.

**4 თავისუფალი კენჭისყრა** როდესაც პარტიის ლიდერები თემთა ან ლორდთა პალატის წევრებზე არ ახდენენ ზეწოლას, რათა მათ ხმა მისცენ ამა თუ იმ მოსაზრების სასარგებლოდ. თავისუფალი კენჭისყრა ტრადიციულად ნებადართულია ეთიკურ საკითხებზე.

**5 მხვანე დოკუმენტი** სამთავრობო დეპარტამენტის მიერ მომზადებული საკონსულტაციო დოკუმენტი. ამ დოკუმენტის მიზანია, როგორც პარლამენტის შიგნით, ისე მის გარეთ, ადამიანებს მის პოლიტიკასა თუ საკანონმდებლო წინადადებებზე უკუკავშირის საშუალება მისცეს.

**6 წინადადება** სამოქმედო წინადადება, რომელიც თემთა ან ლორდთა პალატას განსახილველად ან გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება.

**7 პინგ-პონგი** თემთა და ლორდთა პალატის მიერ კანონპროექტებში თანმიმდევრული ცვლილებების შეტანა.

**8 ხმაების დამთვალელები** წევრები, რომლებიც ითვლიან ხმებს თემთა ან ლორდთა პალატაში ხმების განაწილებისას და შედეგს აცნობებენ პალატას.

**9 დასუფთავება** პარლამენტის ბოლო დღეები საყოველთაო არჩევნებამდე. ყველა დაუმთავრებელი საქმე სწრაფად უნდა მოგვარდეს, ამიტომ მთავრობა ოპოზიციისგან მიმდინარე საკანონმდებლო პროცესებზე თანამშრომლობას ელის.

**10 თეთრი დოკუმენტი** მთავრობის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელიც მომავალი კანონმდებლობის დეტალებს გვთავაზობს. თეთრი დოკუმენტი ხშირად ხდება კანონპროექტის საფუძველი.

# პოლიტიკური პარტიები

პოლიტიკური პარტიები, მათ შორის კონკურენცია და დებატები დემოკრატიული პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ყველა პოლიტიკური პარტია ძირითად იდეასა და პრინციპებს ეფუძნება, რომლებიც წევრებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს პრინციპებია უფრო სამართლიანი საზოგადოების შექმნა, ადამიანებისთვის მათი შესაძლებლობების მიცემა და გარემოს დაცვა. პოლიტიკური პარტიები ზოგჯერ გარკვეულ მიზნებს იზიარებენ, თუმცა მიზნის მიღწევის გზების შესახებ განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

## პოლიტიკური პარტიების რამდენიმე ძირითადი ფუნქცია:

- ქვეყნის მართვის შესახებ მსგავსი შეხედულებების მქონე ადამიანების გაერთიანება ცვლილებების განხორციელების მიზნით.
- ამომრჩევლებისათვის ხელმისაწვდომი არჩევანის სტრუქტურირება, რაც ამარტივებს კანდიდატებისა და მათი პარტიული პოლიტიკის შედარებას.
- ოპოზიციის, როგორც ძლიერი შტოს არსებობის უზრუნველყოფა სამთავრობო პარტიის საქმიანობის შესამოწმებლად მათთვის საჭირო საშუალებების მიწოდებით.

## არჩევანი ამომრჩევლებისთვის

თემთა პალატაში ძირითადად რვა პოლიტიკური პარტიაა წარმოდგენილი. პარტიების ნაწილი, როგორებიცაა კონსერვატიული და ლეიბორისტული პარტიები, საარჩევნო კამპანიას საყოველთაო პრინციპებზე დაყრდნობით აწარმოებენ; ზოგიერთ პარტიას აქვს კონკრეტული ეროვნული ან ადგილობრივი აქცენტი, მაგალითად უელსისა და შოტლანდიის ეროვნულ პარტიებს; მწვანეთა პარტია საარჩევნო კამპანიისას კონკრეტული აქცენტებს სვამს.

ტრადიციულად, ცალკეულ პარტიებს არჩევნების გზით თემთა პალატაში უმრავლესობის მოპოვების იმედი აქვთ, რათა შეძლონ სხვა პარტიებთან თანამშრომლობის გარეშე მთავრობის ფორმირება. თუმცა, პატარა პარტიებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; აყენებენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სხვა მხარეებმა შეიძლება უგულებელყონ.

ყველა დემუკრატიული პოლიტიკურ პარტიებთან არ არის დაკავშირებული, თუმცა ოლქში პარტიის გარეშე აღიარების მოპოვება რთული პროცესია. დამოუკიდებელი დემუკრატიები ოპოზიციის მხარეს სხედან.





კენჭისყრის ქცევის მოდელები არის თეორიები იმის შესახებ, თუ რატომ ირჩევს ხალხი იმას, ვისაც ირჩევს. ეს მოდელები ხმის მიცემის პროცესის ასახსნელად სასარგებლო, მაგრამ ხშირად შეტისმეტად გამარტივებულია.

### სოციოლოგიური

ამ მოდელის მიხედვით, სოციალური კლასი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ამომრჩევლის მიერ პარტიის არჩევისას.

### რაციონალური არჩევანი

ამ თეორიის თანახმად, ამომრჩეველს შეუძლია ზუსტად შეაფასოს, რომელი არჩევანი იქნება მისთვის სასარგებლო და მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილება.

### პარტიული ფაქტორი

ამ მოდელის მიხედვით, ამომრჩეველთა არჩევანი განპირობებულია ამა თუ იმ პარტიის მიმართ მათი ერთგულებით.

### პარტიული ორგანიზატორები

თემთა ან ლორდათა პალატის წევრები, რომლებიც ინიშნებიან თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ და ევალუებათ თავიანთი პარტიის წევრების ინფორმირება და ორგანიზება პარლამენტში. მათი ერთ-ერთი მოვალეობაა უზრუნველყონ, რომ მათი წევრები კენჭისყრისას პარტიული პოლიტიკის შესაბამისად აძლევენ ხმას.

### მეამბოხე

ზოგჯერ დეპუტატები არ ეთანხმებიან თავიანთი პარტიის შეხედულებებს და ხმას აძლევენ მის წინააღმდეგ – ეს ცნობილია როგორც „ხმის მიცემა პარტიული ორგანიზატორის წინააღმდეგ“.

### კოალიციური მთავრობა

ერთზე მეტი პოლიტიკური პარტიის მიერ ერთობლივად ჩამოყალიბებული მთავრობა. მხარეებმა შეიძლება გადაწყვიტონ კოალიციური მთავრობის ფორმირება, როდესაც საყოველთაო არჩევნების შემდეგ პარლამენტში მხოლოდ ერთ პარტიას არ აქვს სრული უმრავლესობა.

### პარტიზანი

ერთი რომელიმე პარტიის ან ჯგუფის ერთგული.

### პარტიზანული განლაგების რღვევა

როდესაც წევრები კონკრეტული პარტიის მიმართ ნაკლებ ერთგულებას იჩენენ.



# კამპანია

კამპანიების დროს პარტიები მთავრობის საქმიანობასა და საჯარო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ. კამპანიებს ზეწოლის ჯგუფების სახელით ცნობილი ინდივიდები ან ჯგუფები იწყებენ. ეფექტური კამპანია ყურადღებას ერთ კონკრეტულ საკითხზე ამახვილებს.

## ზეწოლის ჯგუფები

ზეწოლის ჯგუფები ზოგადად ორ კატეგორიად იყოფა: ჯგუფები, რომლებიც კამპანიას ატარებენ ერთ კონკრეტულ საკითხზე (ცნობილია, როგორც მიზნობრივი ჯგუფები), და ჯგუფები, რომლებიც რამდენიმე საკითხს ეხებიან ერთი თემის გარშემო (ცნობილია, როგორც სექციური ჯგუფები). ზეწოლის ჯგუფები ზოგჯერ მთავრობას ინფორმაციას აწვდიან და თავიანთი ინტერესის სფეროს შესაბამის საკითხებზე უწევენ კონსულტაციას. ინდივიდებს შეიძლება გაუჭირდეთ პოლიტიკაზე და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა.

თანამოაზრე ადამიანთა ჯგუფს შეუძლია მეტი გავლენა მოახდინოს და უფრო წარმატებული იყოს როგორც მთავრობის, ისე ფართო საზოგადოებისთვის პრობლემის შეტყობინების პროცესში. ზეწოლის ჯგუფებში შედის რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციები, პროფკავშირები, ქალთა ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები და სათემო ჯგუფები.



### ცნობიერების ამაღლება

„ბი-ბი-სის“ ველური ბუნების შესახებ დოკუმენტური ფილმის მეორე სერია, „ლურჯი პლანეტა“, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო წყლის სამყაროზე პლასტიკური ნარჩენების ზემოქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესში. ვარაუდობდნენ, რომ მაყურებელთა 88%-მა შოუს ყურების შემდეგ დამოკიდებულება და ქცევა შეცვალა.



### პეტიციები

2018 წელს პარლამენტში განიხილეს პეტიცია, რომლის მიხედვითაც ყველა სუპერმარკეტი ვალდებული უნდა გახდეს, მომხმარებელს პლასტმასისგან თავისუფალი პროდუქტი შესთავაზოს. პეტიციამ 128 001 ხელმოწერა მოიპოვა. პეტიციების გავრცელება და პარლამენტში წარდგენა შესაძლებელია ვებგვერდის - [petition.parliament.uk](http://petition.parliament.uk) მეშვეობით. საიტზე გაკეთებული ყველა პეტიცია, რომელსაც 10 000-ზე მეტი ხელმოწერა აქვს, იღებს წერილობით პასუხს მთავრობისგან, ხოლო 100 000-ი ხელმოწერის მქონე პეტიცია პარლამენტს წარედგინება განსახილველად.

### ზეწოლის შიდა ჯგუფები

ზეწოლის ჯგუფები, რომლებიც მჭიდროდ მუშაობენ პოლიტიკოსებთან. მათ ხშირად ძლიერი პარტიული კავშირები აქვთ.

### ზეწოლის გარე ჯგუფები

ეს ჯგუფები და მათი კამპანიის მეთოდები საზოგადოების მიერაა მართული. ისინი უფრო მეტად ჩნდებიან ძირითად მედია საშუალებებში, ვიდრე ზეწოლის შიდა ჯგუფები.

### პირდაპირი ქმედება

„მასობრივი გადაშენების წინააღმდეგ მებრძოლები“ არის მოძრაობა, რომელიც 2018 წელს კლიმატის შესახებ პროტესტის პერიოდში ჩამოყალიბდა. ჯგუფი მხარს უჭერს „არაძალადობრივ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას“ და იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა ხიდების გადაკეტვა, საჯარო სივრცეებში ხეების დარგვა და საკუთარი სხეულებით მიწებება ბუკინგემის სასახლის მსგავს ღირსშესანიშნაობებზე.

### სახალხო პროტესტი

15 წლის ასაკში გრეტა ტუნბერგმა სკოლა გააცდინა და შვედეთის პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია მართომ გამართა. ამ მოვლენით დაიწყო ახალგაზრდების გლობალური საპროტესტო მოძრაობა, რომელიც კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ უფრო გადამწყვეტი ზომების მიღებას მოითხოვდა.



### კამპანიის მეთოდები

#### კლიმატის ცვლილება

### პოლიტიკური პარტია

მწვანეთა პარტია, რომლის მიზანი იყო პოლიტიკური სისტემის მეშვეობით გარემოს სისტემატური ზიანის თავიდან აცილება, 1990 წელს ჩამოყალიბდა. ისინი საარჩევნო რეფორმებისთვის იბრძვიან და მათივე შედგენილი მანიფესტის შესაბამისად მოქმედებენ.

### ლობირება

მოძრაობა „სერფერები საკანალიზაციო წყლების წინააღმდეგ: 1990 წელს წყლის სპორტის მოყვარულთა ჯგუფის მიერ წყლების დაბინძურების მზარდი ტენდენციის საპასუხოდ შეიქმნა. ჯგუფი წყლის ხარისხის დასაცავად ზომების მისაღებად კამპანიას აწარმოებდა, წევრები ესწრებოდნენ სამთავრობო და ბიზნეს შეხვედრებს, რომლებზეც გამორჩეული კოსტიუმები ეცვათ და გაზის ნიღბები ეკეთათ. მოძრაობის შექმნის შემდეგ, გაერთიანებულ სამეფოში წყლის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.



### არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ ისეთ ჯგუფებს, რომლებიც თავიანთი მიზნების მისაღწევად კამპანიის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. 2010 წელს „გრინფისმა“ მთავრობა აიძულა ჰითროუს აეროპორტში მესამე ასაფრენი ბილიკის მშენებლობის გეგმა გადაედო. ამისთვის მთელი რიგი ზომები იქნა მიღებული, პეტიციებიდან და პროტესტიდან დაწყებული მიწის შესყიდვა-გაყოფით და მთავრობის წინააღმდეგ სამართლებრივი პროცესის წამოწყებით დამთავრებული.





## 1 არჩევნებში მონაწილეობა

ხმის მისაცემად შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ 16 წლიდან, რაც ნიშნავს, რომ მზად ხართ მონაწილეობა მიიღოთ ადგილობრივ და საყოველთაო არჩევნებში. მეტი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია [yourvotematters.co.uk](http://yourvotematters.co.uk)-ზე.

## 2 გამოიწერეთ გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის სოციალური მედიის გვერდები.

პარლამენტს აქვს სხვადასხვა არხები, რომლებიც დაგეხმარებათ გაიგოთ სიახლეები – შეგიძლიათ გამოიწეროთ ტვიტერზე, ფეისბუქსა და ინსტაგრამზე.

## 3 გახვარიაწლით პოლიტიკურ პარტიაში

პოლიტიკური პარტიების უმეტესობას აქვს ახალგაზრდული ფრთა, რომელიც აქტუალურ საკითხებზე მუშაობს. პარტიაში გაწევრიანებამ შეიძლება გარკვეული პრივილეგიები მოგანიჭოთ, მათ შორის პარტიის ლიდერის არჩევის პროცესში მონაწილეობის უფლება.

## 4 დაუკავშირდით თქვენს დეპუტატს

იპოვეთ თქვენი ადგილობრივი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია მისამართზე – [www.parliament.uk/findyourmp](http://www.parliament.uk/findyourmp) და დაუკავშირდით. დეპუტატები „ოპერაციებს“ ატარებენ თავიანთ ოლქებში, რათა ხალხს მათთან შეხვედრის და აქტუალური საკითხების განხილვის საშუალება ჰქონდეს.

## 5 ვაზიციან პარლამენტში

თუ რაიმე საკითხი სერიოზულად გაწუხებთ, შეგიძლიათ დაარეგისტრირდეთ ან ხელი მოაწეროთ პეტიციას. შეიტყვეთ მეტი [petition.parliament.uk](http://petition.parliament.uk)-ზე.

## 6 ეწვიეთ პარლამენტს

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში ვიზიტი უფასოა და წინასწარი რეგისტრაცია საჭირო არ არის. თქვენ შეგიძლიათ უყუროთ დებატებს საზოგადოებისთვის განკუთვნილი დარბაზიდან ან დაესწროთ შერჩეული კომიტეტის სხდომას. ვიზიტები ნებადართულია შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტებშიც.

## 7 გაერთიანებული სამეფოს

### ახალგაზრდული პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა

ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელიც არის გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტი და არის 11-დან 18 წლამდე ასაკის, აქვს ახალგაზრდული პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

## 8 მიიღეთ განახლებული ინფორმაცია


[www.parliament.uk](http://www.parliament.uk)-ზე შეგიძლიათ იხილოთ საპარლამენტო დებატების ოფიციალური ჩანაწერი, ასევე ყოველკვირეული დღის წესრიგის დეტალები. გაზეთები, პოლიტიკური ვებგვერდები და სატელევიზიო გადაცემები ასევე დაგეხმარებათ სიახლეების გაგებაში.

## 9 მიიღეთ მონაწილეობა არჩევითი კომიტეტის გამოკითხვაში

არჩევითი კომიტეტები მწვავე საკითხებს იკვლევენ და ამისთვის ხშირად ონლაინ გამოკითხვების მეშვეობით იყენებენ. ეს საპარლამენტო პროცესზე გავლენის მოხდენის შესანიშნავი საშუალებაა.

## 10 გახდით დეპუტატი

18 წელზე უფროსი ასაკის ნებისმიერ პირს, რომელიც არის ბრიტანეთის, ირლანდიის ან თანამეგობრობის მოქალაქე და ცხოვრობს გაერთიანებულ სამეფოში, უფლება აქვს გახდეს დეპუტატი.





გაერთიანებული  
სამეფოს პარლამენტი